




ავტორები: თორნიკე სურგულაძე და დავით კეშელავა

**საქართველოს 2024 წლის რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზის კორექტირებების განმარტებითი ძირითადი მიზეზებია: ვალუტის კურსის ზრდა, ვაჭრობის შემცირება და ფულადი გადარიცხვების სტაბილიზაცია**

**გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)**



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2024 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. წარმოგიდგენთ ამ თვის მიგნებებს.

**ძირითადი მიზეზები:**

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2023 წლის დეკემბრის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა. აღნიშნული შეფასებით, მშპ 8,3%-ით გაიზარდა, მშპ-ის ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა კი 7 %-ს მიაღწია.
- საქსტატის მშპ-ის ზრდის მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად, დეკემბრის კორექტირებულ მონაცემებში წინა თვის მაჩვენებლებთან შედარებით ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. შესაბამისად, ჩვენი მშპ-ის ზრდის პროგნოზი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დაკორექტირდა.
- ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, 2024 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის რეალური მაჩვენებელი 10.4% იქნება, 2024-ის მეორე კვარტალში კი – 10.1%.



- დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წელს, ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია წლიური 7.8%-იანი ზრდა, ხოლო საუკეთესო ან საშუალო, გრძელვადიანი ზრდის სცენარის შემთხვევაში – 9.4 %-იანი ზრდა. ჩვენი შუალედური პროგნოზის თანახმად (უკანასკნელი ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე დაყრდნობით), მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 8.9%-ით.
- მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ეს პროგნოზი შესაძლოა იმაზე მეტად ოპტიმისტური იყოს, ვიდრე სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური შეფასებები, მაგალითად საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზი, რომლის თანახმადაც, 2024 წელს 5%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. ზრდის წლიური პროგნოზი შესაძლოა სიზუსტით არ ასახავდეს მომავალში განვითარებულ მოვლენებს.

**ცვლადები, რომლებზე დაყრდნობითაც მშპ-ის ზრდის პროგნოზი განისაზღვრება:**

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების პირველი ჯგუფი, რომელიც ჩვენს პროგნოზზე ზომიერ გავლენას ახდენს, კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებია. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა ყველა კატეგორიის დეპოზიტმა წლიური ზრდა განიცადა. კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 29.9%, ხოლო ვადიანი დეპოზიტები წლიური 17.6%-ით გაიზარდა. **შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები წლიური 26.9%-ით გაიზარდა.** თუმცა, ჩვენი მოდელის თანახმად, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა.

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, **უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ზომიერი, 2.7%- იანი ზრდა განიცადა.** ამავე პერიოდში უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები წლიურად 8.8%-ით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 2.6%-ით შემცირდა. მეორე მხრივ, უცხოური ვალუტის ვადიანი დეპოზიტები წლიური 20.5%-ით გაიზარდა. *მთლიანობაში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**საქონლით ვაჭრობა.** დეკემბერში საქართველოს ექსპორტი წლიურად 7.5%-ით გაიზარდა. ამის ძირითადი მიზეზი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (წლიურად 92.3%-ით შემცირდა), მინერალური და ქიმიური სასუქების, აზოტის (შემცირდა 65.2%) და ნატურალური ყურძნის ღვინოების (შემცირდა 6.4%) ექსპორტის/რე-ექსპორტის შემცირება იყო. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ავტომობილების (წლიურად გაიზარდა 27.4%-ით) და ფეროშენადნობების (წლიურად შემცირდა 550.8%-ით) ექსპორტმა/რე-ექსპორტმა საგრძნობი ზრდა განიცადა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი წლიურად 10.6%-ით შემცირდა, რაც ავტომობილების (წლიურად 19.8%-ით შემცირდა), აირების და სხვა თხევადი ნახშირწყალბადის (წლიურად 33.4%-ით შემცირდა) და სატელეფონო აპარატების, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის



განკუთვნილი ტელეფონების (წლიურად 27.7%-ით შემცირდა) იმპორტის/რე-იმპორტის შემცირებამ გამოიწვია. აღნიშნულის საპირისპიროდ, გაიზარდა ნავთობის და ნავთობპროდუქტების (წლიურად გაიზარდა 12.8%-ით) და დაფასოებული მედიკამენტების (წლიურად გაიზარდა 22.1%-ით) იმპორტი/რეიმპორტი. მიუხედავად ამისა, სავაჭრო დეფიციტი მცირედით, წლიური 2.5%-ით შემცირდა და 799 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ცვლადებს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა.

**ფულადი გზავნილები.** დეკემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 42.4%-ით შემცირდა და 308.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული შემცირების მთავარი მიზეზი რუსეთის ფედერაცია (შემცირდა 77.8%, -46.1 პროცენტული პუნქტი), თურქეთი (შემცირდა 12.6%, -0.2 პროცენტული პუნქტი) და აზერბაიჯანია (შემცირდა 11.1%, -0.1 პროცენტული პუნქტი). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ფულის შემოდინება გაიზარდა იტალიიდან (გაიზარდა 19.7%, 1.4 პროცენტული პუნქტი), ამერიკის შეერთებული შტატებიდან (გაიზარდა 41.6%, 2.3 პროცენტული პუნქტი), გერმანიიდან (გაიზარდა 15%, 1.2 პროცენტული პუნქტი), საბერძნეთიდან (გაიზარდა 9.6%, 0.3 პროცენტული პუნქტი), ყაზახეთიდან (გაიზარდა 15.3%, 0.4 პროცენტული პუნქტი), ესპანეთისა (გაიზარდა 13.2%, 0.1 პროცენტული პუნქტი) და საფრანგეთიდან (გაიზარდა 12.3%, 0.1 პროცენტული პუნქტი). ფულის შემოდინების შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში შემოსული რუსი მოქალაქეების ნაკადი, რომლებიც პირადი მიზნებისთვის რიცხავდნენ თანხებს. აღნიშნული მოვლენის გარდამავალი ეფექტის შემცირებასთან ერთად, საქართველო უზრუნდება ფულადი გზავნილების შემოდინების ჩვეულ დონეს. მეტი სიცხადისთვის, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საგრძნობლად (75.5%-ით) გაიზარდა შემოდინებული ფულადი ნაკადი, 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. შედეგად, ფულად გზავნილებს მცირედი დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**გაცვლითი კურსი.** დეკემბერში ლარი აშშ დოლართან (0.9% თვიურ ჭრილში), ევროსთან (0.1% თვიურ ჭრილში), თურქულ ლირასა (3% თვიურ ჭრილში) და რუბლთან (1.9% თვიურ ჭრილში) მიმართებით გამყარდა. ამასთან, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურ ჭრილში 2.1%-ით გამყარდა. REER-ის წლიური გამყარება ძირითადად რუსეთის მოქალაქეების შემოდინებამ გამოიწვია. ერთი მხრივ, ლარის გამყარება დადებითად აისახება ქართველ მოსახლეობაზე, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებისა და სესხების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის გამო (ბიზნესებს შემოსავალი და ვეღებულებები სხვადასხვა ვალუტაში აქვთ), მეორე მხრივ, სუსტდება კონკურენტუნარიანობა ექსპორტში. მთლიანობაში, REER-თან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**ფულის მასა.** დეკემბერში, ყველა მონეტარულმა აგრეგატმა, მათ შორის ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0) და ფართო ფულმა (M3), საგრძნობი წლიური ზრდა განიცადა. მონეტარული აგრეგატები M2 და M3 წლიური 26.9% და 14.9%-ით გაიზარდა. ამავდროულად, მიმოქცევაში არსებული ვალუტა წლიური 17.7%-ით და ბანკის გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) 21.4%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულ ცვლადებს საგრძნობი დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.



**სამომხმარებლო სესხი.** დეკემბერში, კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა თვიური 3.2%-ით და წლიური 24.7%-ით გაიზარდა. ამავდროულად, კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 12.4%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 35.8%-ით გაიზარდა (ამგვარი ტენდენციის განმარტობებელი ძირითადი ფაქტორი ეროვნულ (17.8%) და უცხოურ ვალუტაში (126.2%) მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების წლიურ ჭრილში ზრდაა). აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 2.9%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 24.4%-ით გაიზარდა. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**ინფლაცია.** დეკემბერში, სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.4%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის შემცირება დიდწილად ისეთმა გარე ფაქტორებმა განაპირობა, როგორცაა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ფასებზე ზეწოლის შემსუბუქება. აღსანიშნავია, რომ საწვავის ფასები (ევრო ბრენტის ფასი (COP)) წლიური 4.1%-ით შემცირდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალია საერთაშორისო სასაქონლო ბაზარზე ინფლაციის ზრდის რისკი. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან (CPI) დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.